



2020

საქართველოს სამსახურის
ბიუროს 2020 წლის
საქმიანობის ანგარიში

CIVIL SERVICE BUREAU
ACTIVITY REPORT 2020

სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში



შინაარსი

წინასიტყვაობა	4
1. ადამიანური რესურსების მართვა	5
2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის პროცესი	12
3. საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი	14
4. გენდერი საჯარო სამსახურში	16
5. ეთიკა და მამხილებლის ინსტიტუტი საჯარო სამსახურში	18
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება	20
7. საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი	21
8. რეფორმის იმპლემენტაციის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული პროექტები და კვლევები	24
9. საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის ხელშეწყობა	28
10. საერთაშორისო თანამშრომლობა	30
11. საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლო პროცესები	31
2020 წლის სტატისტიკა საჯარო სამსახურში	59

წინასიყვარობა

2020 წელი განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩეოდა მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების გამო. საქართველოს საჯარო სამსახურშიც საჯარო დაწესებულებებს არსებულ გამოწვევებთან გამკლავება დისტანციურ რეჟიმში მუშაობით მოუწიათ.

საჯარო სამსახურის ბიურომ, ჩვეული სამუშაოს ხარისხისა და დამკვიდრებული სტანდარტების შენარჩუნებით, მოახერხა შექმნილ სიტუაციასთან ადაპტირება და მიმდინარე პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

მიუხედავად გამოწვევებისა და სამუშაოს დისტანციურ რეჟიმში მართვასთან დაკავშირებული სირთულეებისა, ბიურო, როგორც საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება, 2020 წლის განმავლობაში სწავლობდა და აკვირდებოდა ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკებს შემდგომი რეკომენდაციების შემუშავების, ამ სფეროს პოლიტიკის დახვეწის, გაუმჯობესებისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის უზრუნველსაყოფად.

პანდემიის პირობებში მუშაობის გამოცდილებამ, კიდევ ერთხელ დაგვანახა პროფესიონალი ადამიანური კაპიტალის არსებობის მნიშვნელობა და მათი როლი პრობლემებთან ეფექტურად გამკლავების საქმეში. შესაბამისად, ბიუროს 2021 წლის პრიორიტეტებში დარჩება საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვის ვალდებულება, მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შენარჩუნებასა და მოტივირებისკენ გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, 2024 წელს ქვეყანამ გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, საჯარო სამსახურის ბიუროსათვის წარმოადგენს შემდგომი წლების გეგმებში მთელი რიგი ამოცანების დასახვის საფუძველს, როგორც საჯარო დაწესებულებებში დასავლური მართვის სისტემების დანერგვის, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებული თითოეული პირის კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით.

შესაბამისად, გადაიხედება და განახლდება არსებული სწავლების სისტემა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები, ინდივიდუალურად მოხელის საჭიროებებზე მორგებული სწავლების მეთოდების (სწავლა კეთებით, მენტორინგი, ქოუნინგი) დისტანციური სწავლების მოდულების ინტეგრირებისა და მაქსიმალური რაოდენობის მოხელეთა გადამზადების მიზნებისთვის.

გაგრძელდება მუშაობა თანამედროვე და დასავლური სტანდარტების შესაბამისი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და პროფესიონალი მენეჯერული რგოლის შექმნის მიზნით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანური კაპიტალის სწორად და ეფექტურად დაგეგმა, ტალანტების იდენტიფიცირება და კარიერის მართვა, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემების გაუმჯობესება, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის ძლიერ და დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია, ძლიერი ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების საქმიანობა მხარდაჭერილი იყოს შესაბამისი ელექტრონული პლატფორმებით. პანდემიისა და მისგან გამოწვეული შედეგების მართვის პროცესში, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანური რესურსის შესახებ ერთიანი მონაცემების არსებობის საჭიროება, რისთვისაც ბიუროს 2021 წლის პრიორიტეტების სათავეში მოექცევა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემების მიმდინარე ინტეგრაციის პროცესის დასრულება და ელექტრონული მართვის მოდულების წახალისება.

საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარე ეტაპზე, ბიუროს მიერ განხორციელებული კვლევებითა თუ არსებულ პრაქტიკებზე დაკვირვებით, გამოიკვეთა რეფორმისათვის ახალი, ტრანსფორმაციული და ინოვაციური პერიოდის მოახლოება, რომელიც არსებული თანამედროვე კანონმდებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის უკვე კულტურულ ტრანსფორმაციას, პროფესიულ მოხელეთა აზროვნების ცვლილებას და გარდამტეხი ნაბიჯი იქნება თითოეულ საჯარო დაწესებულებაში ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების საქმეში.

ბიურო 2012 წლიდან მუშაობს ეთიკური გარემოს გაუმჯობესებისა და კორუფციისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის სისტემის დამკვიდრებაზე, მუდმივად ზრუნავს მოხელეთა ცნობიერების ამაღლებაზე ეთიკური და პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ და უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობას და შეგროვებული მონაცემების მონიტორინგს. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მოხელეთა და საჯარო სამსახურში სხვა დასაქმებულთა საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა და პირიქით, საზოგადოების ნდობის ამაღლება საჯარო სამსახურის მიმართ. შესაბამისად, 2021 წელს კვლავ გაგრძელდება ანტიკორუფციული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, დაიხვეწება არსებული სისტემები და შეიქმნება საჯარო დაწესებულებებში ეთიკური რისკების შეფასებისა და აღმოფხვრის მექანიზმები.

ქვემოთმოცემული 2020 წლის საქმიანობის დეტალური ანგარიში მოიცავს ბიუროს მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების, ასევე მომავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას.

ეკატერინე ქარდავა

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი

1. ადამიანური რესურსების მართვა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის, საჯარო სამსახურის ბიურო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით.

მიღება საჯარო სამსახურში. საანგარიშო პერიოდში,* ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) გამოცხადდა 3497 ვაკანსია, აქედან 2335 – ღია კონკურსი, 247 – დახურული, 496 – გამარტივებული, 194 – სტაჟირება და 15 – სხვა. სამინისტროებში მენეჯერულ პოზიციაზე სულ 75 ვაკანსია გამოცხადდა.

„საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებაში 2020 წლის 23 მარტს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, დაემატა კონკურსის კიდევ ერთი სახე – შიდა კონკურსი. ამ დროისთვის სულ გამოცხადებულია შიდა კონკურსის წესით შესარჩევი 210 ვაკანსია.

2019 წლის მონაცემებთან შედარებით, კონკურსის რაოდენობა 2020 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულია 37,97%-ით (2141 ერთეულით). მოცემული შემცირება სავარაუდოდ, უკავშირდება საქართველოში პანდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით არსებულ შეზღუდვებს.

კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვისა და კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართა 30-მა კანდიდატმა 41 ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებით. საკონკურსო პირობების და განაცხადის შესაბამისობის გადამოწმების შემდეგ, ბიუროს რეკომენდაციით, კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაშვებულ იქნა 9 კანდიდატი 12 ვაკანსიაზე. სამინისტროებში მენეჯერულ პოზიციებზე, სადაც წარმატებით დასრულდა კონკურსი, მენეჯერების შერჩევა მოხდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული კონკურსის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით უფლების დასაცავად კანდიდატების ბიუროსადმი მიმართვიანობა შემცირებულია 37%-ით (18 ერთეული), ხოლო გადასამოწმებელი ვაკანსიების რაოდენობა შემცირებულია 61%-ით (65 ერთეულით).

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადამოწმება. საანგარიშო პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, მოხელის თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით, ბიურომ განიხილა და შეითანხმა 395 საჯარო დაწესებულების 1619 პოზიციის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამასთანავე, 395 საჯარო დაწესებულებიდან 158 საჯარო დაწესებულებას ბიურომ რეკომენდაციის სახით გაუზიარა მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები მისი კომპეტენციის ფარგლებში.

2020 წლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ორგანიზაციის შემთხვევაში 26%-ით (137 ერთეულით), ხოლო პოზიციების შემთხვევაში კი 23%-ით (478 ერთეულით) არის შემცირებული.

* www.hr.gov.ge-ს მონაცემები მოცემულია 2020 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით.

საკონკურსო კომისიის ოქმების ანალიზი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ შეისწავლა საჯარო დაწესებულებებში მოხელეთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობის პროცესი. აღნიშნულის მიზნით, ბიურომ მიმართა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებას, სასამართლო ორგანოს, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირსა და საქვეუწყებო დაწესებულებას, ღია, დახურული და შიდა კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.

თითოეული საჯარო დაწესებულება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიყო, ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – www.hr.gov.ge – მოხელეთა ვაკანტურ პოზიციებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით. გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გაანალიზდა 34 სხვადასხვა ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტაცია. მიღებული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ტენდენციები გარკვეულწილად, კვლავ აქტუალურია და საჭიროებს დახვეწას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობის ერთგვაროვანი აღსრულების მიზნით:

- უმეტესწილად, კანდიდატების შეფასებისათვის გამოყენებულია მხოლოდ გასაუბრების და ძირითადად, არასტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი, რაც კომისიას არ აძლევს კანდიდატის მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების სრულყოფილად და ერთიანი სტანდარტით შეფასების შესაძლებლობას;
- შეიმჩნევა პროგრესი კანდიდატის შეფასებისას ზეპირი დავალების კომპონენტის ხშირად გამოყენების მხრივ. თუმცა, ზეპირი დავალების მეშვეობით კანდიდატის შეფასება ძირითადად კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის საქმიანობის მარეგულირებელი კანონებიდან და კანონქვემდებარე აქტებიდან დახურული კითხვების დასმას გულისხმობს. ზეპირი დავალების ფარგლებში ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება უმჯობესია მოხდეს სიტუაციური დავალებების მიცემით, სადაც კანდიდატს კონკრეტული საკითხის ირგვლივ თეორიული ცოდნის წარმოჩენასთან ერთად ლოგიკური მსჯელობის, საკითხის ინდივიდუალურად გადანწყვისა და საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა ექნება;
- კვლავ იშვიათია წერილი დავალების კომპონენტის გამოყენების პრაქტიკა;
- ერთი საკონკურსო კომისია შექმნილი სხვადასხვა ტიპის/სპეციფიკის ვაკანსიაზე და განსხვავებული სტრუქტურული ერთეულების ვაკანტური თანამდებობებისათვის. ნაცვლად კონკრეტული ვაკანსიისთვის შესაბამისი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის ჩამოყალიბებისა, საჯარო დაწესებულებებში იქმნება ერთი მრავალწევრიანი საკონკურსო კომისია. თუმცა, კომისიის წევრთა სიმრავლე არ განაპირობებს კომისიის ყველა წევრის ჩართულობას შერჩევის პროცედურებში. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საკონკურსო კომისიის სხდომებს, მიუხედავად კომისიის შემადგენლობის მრავალწევროვნებისა, ფაქტობრივად მხოლოდ რამდენიმე წევრი ესწრება. აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრება ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის სულისკვეთებას და შესაძლებელია, გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიწვიოს საჯარო დაწესებულებებში ჩატარებული კონკურსებისადმი უნდობლობა;
- საკონკურსო კომისიის ოქმების ნაწილში არ არის დეტალურად განერილი ინფორმაცია კონკურსის ეტაპების მიმდინარეობის შესახებ. ოქმში მითითებულია მხოლოდ კონკურსის ეტაპების სახელწოდებები, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან;
- საკონკურსო კომისიის ოქმები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და მეთოდების, კომისიის წევრების მსჯელობის და გადანწყვილების მიღების საფუძვლების შესახებ, რაც შესაძლებელია გახდეს კანდიდატის უფლების დაცვის მიზნით სასამართლოში საკითხის განხილვის წინაპირობა.

კანდიდატან გასაუბრების მონიტორინგი. საჯარო სამსახურის ბიურომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელა საჯარო დაწესებულებებში კონკურსის დროს მიმდინარე გასაუბრების ეტაპის მონიტორინგი. თუმცა, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვინაიდან დისტანციურ რეჟიმში კონკურსის ეტაპების ჩატარება საჯარო დაწესებულებებისთვის სიახლეს წარმოადგენს, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დისტანციურ რეჟიმში დააკვირდა 30-მდე კანდიდატის გასაუბრების პროცესს, 10 საჯარო დაწესებულებაში. გასაუბრების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას:

- პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების ფონზე, საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულებებმა, უმეტესწილად, წარმატებით გაართვეს თავი გასაუბრების ელექტრონული რესურსების გამოყენებით ჩატარების პროცესს. მნიშვნელოვანია, დროთა განმავლობაში დაიხვეწოს ტექნიკური და საორგანიზაციო დეტალები, რაც კომისიისა და კანდიდატის ელექტრონულ სივრცეში დროულ, შეუფერხებელ და უხარვეზო კავშირს უზრუნველყოფს;
- წლის მეორე ნახევარში შემცირებულია სრულად დისტანციურ ფორმატში გასაუბრების ჩატარების ტენდენცია. უმეტესად, კანდიდატთან ინტერვიუ ტარდება საჯარო დაწესებულების შენობაში, თუმცა, დაცულია პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები (მაგ: დისტანცია, პირბადის ტარება). ელექტრონული საშუალებების დახმარებით, ძირითადად, მხოლოდ ბიუროს წარმომადგენელი ესწრება პროცესს, რამდენიმე შემთხვევაში, კომისიის ზოგიერთი წევრიც;
- კანდიდატთან ინტერვიუ, ძირითადად, მიმდინარეობს არასტრუქტურირებულად. უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ არის შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი, რაც იწვევს კანდიდატის შეფასების პროცესში კომისიის წევრთა არათანაბარ ჩართულობას, კანდიდატთან გასაუბრების დროის არაეფექტიანად მართვას, გასაუბრების სპონტანურობას;
- ზეპირი დავალების შეკითხვები ძირითად შემთხვევებში, დასმულია დახურულ ფორმატში და არ უტოვებს კანდიდატს მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოჩენის საშუალებას;
- გასაუბრების ნაწილში, ნაკლებად არის გამოყენებული მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესაფასებელი წინასწარ განსაზღვრული ფორმები.

გამარტივებული კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გადამოწმდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში გამარტივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული 902 შრომითი ხელშეკრულება, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 36%-ით (510 ერთეულით) არის შემცირებული.

გაფორმებული ხელშეკრულებების დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის ხარვეზები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა შემდეგ ასპექტებს:

- ხელშეკრულებების 10%-ში, შესასრულებელი ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის, რის გამოც რთულდება დადგინდეს მათი დამხმარე ან არამუდმივი ხასიათი;
- ხელშეკრულებების 7,9%-ში ასახული ფუნქციები შეესაბამება პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და არ ატარებდა დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შინაარსს;
- ხელშეკრულებების 2,5%-ში არ იყო გათვალისწინებული შესასრულებელი ფუნქციები ან ფუნქციების სახეები შერეულად იყო განსაზღვრული (დამხმარე/არამუდმივი და პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელი);
- ხელშეკრულებების 39%-ს ახლდა სტანდარტული ფუნქცია, როგორცაა ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება. აღნიშნული დათქმა დამსაქმებელ ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს დაავალოს ის ფუნქცია-მოვალეობები, რომელთა შესრულებაც ამ პირის მიერ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან.

1. ადამიანური რესურსების მართვა

საანგარიშო პერიოდში გადამონმეხული შრომითი ხელშეკრულებებიდან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გაფორმებულია 356 ხელშეკრულება, რეგიონულ დონეზე – 291, სასამართლო სისტემაში – 85, პარლამენტის აპარატში – 87, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში გამარტივებული კონკურსის გამოცხადების გარეშე გაფორმებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში 35 შრომითი ხელშეკრულება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში 48 შრომითი ხელშეკრულება.

პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი. ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას მოხელის მობილობის პროცესში. საანგარიშო პერიოდში 41 საჯარო დაწესებულებაში განხორციელდა რეორგანიზაცია. გარე მობილობის პროცედურის განხორციელების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროში შემოსულია 16 განცხადება. ამჟამად მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულია 259 მოხელე. საანგარიშო პერიოდში, საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რეზერვში ჩარიცხულ არცერთ მოხელეს არ დაკისრებია დროებითი ფუნქციების შესრულება.

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო დაწესებულებებთან და კონსულტაციას უწევდა მათ შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად, შეფასების პროცესის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დისტანციურ რეჟიმში შეფასების განხორციელება. საჯარო სამსახურის ბიურომ, OECD-ის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისათვის დისტანციურ რეჟიმში შესრულებული სამუშაოს შეფასებათან დაკავშირებით და გაუზიარა საკუთარი ხედვა საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებს, კერძოდ:

- 2020 წელს უნდა შეფასდეს ყველა მოხელე, ვინც ექვემდებარება შეფასებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაფასებელ პერიოდში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. საბოლოო შეფასებისას, გათვალისწინებული იქნეს, ასევე, შეზღუდვების მოხსნის პერიოდში მოხელეთა ჩვეულ რეჟიმში შესრულებული სამუშაოც;
- მოხელეები, რომლებიც არსებული სიტუაციიდან გამომდინარე გადავიდნენ მუშაობის სხვა რეჟიმზე, უნდა შეფასდნენ როგორც აღნიშნულ რეჟიმზე გადასვლამდე მათ თანამდებობაზე შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ასევე, ზოგადად, საკვანძო კომპეტენციების გათვალისწინებით;
- დაწესებულების ხელმძღვანელმა სასურველია გამოსცეს შესაბამისი აქტი, მოხელესთან შეფასების ოქმის ელექტრონულად შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- ქულების მინიჭება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ქულათა აღწერის სრული დაცვით და გათვალისწინებულ იქნეს ყველა ფაქტორი და გარემოება თითოეული თანამშრომლის შემთხვევაში;
- შემდგომი წლის შეფასებისას, დისტანციურ რეჟიმში მომუშავე თანამშრომელთა საქმიანობის მართვის კუთხით, მიზანშეწონილია ყველა საჯარო დაწესებულებამ უზრუნველყოს მოხელე სათანადო ტექნიკური საშუალებებით და დროებით სარგებლობაში გადასცეს აუცილებელი ტექნიკა და საჭირო რესურსები;
- მენეჯერებმა, მაქსიმალურად თანაბრად უნდა უზრუნველყონ თითოეული თანამშრომლის სამუშაო პროცესში ჩართვა, მათთვის ხელმისაწვდომი სამუშაო პირობების გათვალისწინებით, ისე, რომ არც ერთი თანამშრომელი არ დარჩეს ფუნქციის და შესრულებული სამუშაოს გარეშე.
- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირებმა, აქტიურად იმუშაონ პანდემიის პერიოდში დასაქმებულ მოხელესთან და მის მენეჯერთან, რათა მაქსიმალურად სრულყოფილად განხორციელდეს ადაპტაციის პროცესი.

პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში. საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, 2020 წლის განმავლობაში, 3326 მოხელის გადამზადება იყო დაგეგმილი. მათგან, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა 1247 მოხელეს განესაზღვრა.

მოხელეთა პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამების განმახორციელებელი ტრენინგ-ცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საბაზისო პროგრამა 789 მოხელისთვის განხორციელდა. მათგან 565-მა მსმენელმა პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი გაიარა, ხოლო მოხელის მენეჯერული უნარების კურსს ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებული 224 მოხელე დაესწრო.

აღნიშნული პროგრამები, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიზეზით არსებული შეზღუდვების გამო, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციითა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, 721 მოხელისათვის განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული მოხელეებისათვის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები განხორციელდა მხოლოდ დისტანციური ფორმით – ორივე პროგრამა, საერთო ჯამში, 505 მოხელისათვის. აქედან, „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 351, ხოლო „მოხელის მენეჯერული უნარების კურსი“ მუნიციპალიტეტის ორგანოს 154 მოხელემ გაიარა. აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების 70%-მა უზრუნველყო თანამშრომელთა გადამზადება სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამებში.

პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა – ბიუროსათვის წარმოდგენილი 2020 წლის პროფესიული განვითარების გეგმების საფუძველზე, 2079 მოხელისთვის დაიგეგმა.

დამატებითი პროგრამიდან ყველაზე ხშირად დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროგრამა ეხება შემდეგ თემატიკას: სამართალწარმოება, ადამიანური რესურსების მართვა, მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა, გუნდის მართვა, თანამშრომლის შეფასება, ეფექტური კომუნიკაცია, ეფექტიანი მომსახურება, დროის მართვა, პროექტების მართვა, პროფესიული კომპეტენციები.

ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა გაძლიერება. ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისა და ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლებისათვის, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული, ლიეტუვასა და საქართველოს დაძმობილების პროექტის ფარგლებში, ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ორ ეტაპად გაიმართა ტრენინგთა ტრენინგი, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს მესამე ეტაპს, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ ტრენინგისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის – UNDP-ის მხარდაჭერით, საქართველოს საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისთვის დისტანციურ რეჟიმში, განხორციელდა ფსიქოლოგიის კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დასაქმებული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის აუცილებელი საბაზისო ფსიქოლოგიური ცოდნის შექმნას და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ხელშეწყობას. კურსს უძღვებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორები და ასისტენტები. კურსი ჩატარდა ორ ეტაპად, თავდაპირველად, ფსიქოლოგიის საბაზისო კურსი გაიარა 9 სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელმა და ბიუროს თანამშრომლებმა, შემდეგ

1. ადამიანური რესურსების მართვა

კი 3 რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებმა.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიურო, ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, აქტიურად მუშაობს სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვის გაძლიერების კუთხით. პროექტის ფარგლებში, ექსპერტების დახმარებით მიმდინარეობს საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის დაგეგმვის, საჯარო სამსახურში მოზიდვისა და შერჩევის, ასევე საჯარო სამსახურში ახლადმიღებული თანამშრომლების ადაპტაციის სახელმძღვანელოებზე მუშაობა.

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის განვითარება. საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის – UNDP-ის მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, ახორციელებს პროექტს ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარებისა და დახვეწის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დასრულდა მუშაობა პროფესიული განვითარების, შეფასებისა და ანგარიშგების მოდულებზე. პროგრამის ახალი მოდულების სისტემურად გააქტიურებამდე, საფინანსო – ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა საჯარო დაწესებულებების მასშტაბით, ჩაატარეს ტრენინგები პროგრამაში მუშაობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ტრენინგების დასრულების შემდეგ, საჯარო დაწესებულებები პროგრამაში სატესტო რეჟიმში მუშაობენ და გვიზიარებენ მათ უკუკავშირს პროგრამულ დეტალებთან დაკავშირებით. მოდულების დახვეწის მიმართულებით, კვლავ აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის შიდა პროგრამებთან ინტეგრაციის კუთხით.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების შესაბამისად, 2020 წლის 21 აპრილისათვის დაგეგმილი იყო სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულის ნაკადზე რეგისტრაციის პროცედურის დაწყება. თუმცა, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ 112 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება შეჩერდა საგანგებო მდგომარეობის ვადით.

საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულის ნაკადის სექტემბრის თვემდე გადადების შესახებ საჯარო დაწესებულებების დისტანციურ რეჟიმში მუშაობისა და სტაჟირების დისტანციურად განხორციელების შეუძლებლობის გათვალისწინებით. იმ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომლებსაც უკვე გაცხადებული ჰქონდათ თანხმობა სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, შეუნარჩუნდათ უფლება სტაჟირების შემოდგომის ნაკადში მონაწილეობის. (აქტივაციის გავლა, რეგისტრაცია და სტაჟირების შესაბამისი ვაკანსიის არჩევა).

რაც შეეხება სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის შემოდგომის ნაკადს, აღნიშნულ ნაკადზე რეგისტრაციის პროცედურა გაზაფხულის ნაკადთან ერთად დაიწყო და განხორციელდა სექტემბერ-ოქტომბერში. საანგარიშო პერიოდში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულისა და შემოდგომის ნაკადზე საერთო ჯამში გამოცხადდა 6688 ვაკანსია. 2020 წლის განმავლობაში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობდა 37 უნივერსიტეტი.

1. ადამიანური რესურსების მართვა

სწავლების ფორუმი და HR ფორუმი. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ საქართველოში პარტნიორების მხარდაჭერით რამდენიმე HR და სწავლების ფორუმს უმასპინძლა. ფორუმებს ესწრებოდნენ როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები. აღნიშნულ ფორუმებზე განხილულ იქნა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციასთან, მოხელეთა რეზერვთან, მოხელეთა მობილობასთან, მოხელეთა პროფესიულ განვითარებასთან და მოხელეთა დისტანციურ რეჟიმში შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ფორუმებზე წარმოდგენილი მოსაზრებები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში განხორციელებული ცვლილებებისას და აისახა ბიუროს სარეკომენდაციო დოკუმენტებში.

2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის უზრუნველყოფის შესაბამისი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის, შესაბამისი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით.

2020 წლის განმავლობაში, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შევსებულია 6274 თანამდებობის პირის მიერ.* აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, პარლამენტის წევრობის 6742 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა გამარტივებული ფორმით შევსებული დეკლარაციები (გვერდების ჯამური რაოდენობა – 60417).

დეკლარაციების შევსების პროცესთან დაკავშირებით სულ დაფიქსირდა 12 072 სატელეფონო ზარი და 1306 ონლაინ დახმარების შეტყობინება, ასევე ჩატარდა ცენტრალური საჯარო დაწესებულებების თანამდებობის პირთა ტრენინგი არსებული სისტემის ფარგლებში დეკლარაციის შევსებისა და მონიტორინგის პროცესის შესახებ.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ციფრული მმართველობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსების ელექტრონული სისტემის დახვეწისა და აღნიშნული სისტემის საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ბაზებთან დაკავშირების ინსტრუქცია. სისტემის სრულად გამართვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა ჩართულობით, დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა თანამდებობის პირთა ტრენინგი დეკლარირების ახალი სისტემის გამოყენების ინსტრუქციისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ამჟამად, მიმდინარეობს დეკლარირების ელექტრონული პროგრამის განახლებული ნაწილის სატესტო რეჟიმში შემოწმება, რაც მოიცავს სისტემაში ინტეგრირებული სახელმწიფო უწყებების ბაზებთან კავშირის, ავტორიზაციის ახალი მეთოდის (ID ბარათით და ნამკითხველით), დეკლარირებული ინფორმაციის კორექტირებისა და სხვა პროცესებზე დაკვირვებას.

2020 წელს, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, შემოწმებას დაექვემდებარა დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევით 285 დეკლარაცია, ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 67 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. ჯამურად 2020 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ოდენობამ შეადგინა 352.

შედგებად, 352 თანამდებობის პირიდან მონიტორინგი განხორციელდა 349 დეკლარაციაზე. 3 პირის მიმართ მონიტორინგი არ დაწყებულა, ვინაიდან წარმოადგენდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს. შემოწმებული 349 დეკლარაციიდან დადებითად შეფასდა 134 თანამდებობის პირი, დაჯარიმდა – 177, ხოლო გაფრთხილებულ იქნა – 29.

* მონაცემი მოცემულია 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით



2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის პროცესი

ამასთანავე, სხვადასხვა საკანონმდებლო საფუძვლით მონიტორინგი შეწყდა 8 თანამდებობის პირზე, პროკურატურაში გადაიგზავნა 1 თანამდებობის პირის დეკლარაცია.

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგის დეტალური [ანგარიში](#) საჯაროდ ხელმისაწვდომია და გამოქვეყნებულია ბიუროს ვებგვერდზე.

3. საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი

„საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N627 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ეთხოვათ ფუნქციური ანალიზის თავიანთ დაწესებულებებში ჩატარება, რამაც საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ფუნქციურ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. შესაბამისად, ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზია, რომელიც 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგ საჯარო დაწესებულებებში:

ადგილობრივი თვითმმართველობების საპილოტე ფუნქციური ანალიზი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, აგრძელებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროცესს. კერძოდ, ექვს საპილოტე მუნიციპალიტეტთან – სენაკი, ქუთაისი, ყაზბეგი, რუსთავი, გურჯაანი, დედოფლისწყარო – ჩატარებული ინტერვიუების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, შემუშავდა მუნიციპალიტეტების ორგანოების ფუნქციური ანალიზის პირველადი ანგარიშები. ანგარიშები ეტაპობრივად მიენიჭა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

ავტონომიური რესპუბლიკების ფუნქციური ანალიზი. USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით, საჯარო სამსახურის ბიურომ, 2019 წლიდან დაიწყო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებების ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზი. 2020 წლის განმავლობაში, პირველ ეტაპზე, სპეციალურად ამ მიზნით, განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თითოეული სამინისტროს და მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო დაწესებულების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში, აჭარის რეგიონში დაგეგმილი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ბიურომ ჩაატარა ინტერვიუები და მიღებული ინფორმაციის დამუშავების, ასევე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ჩატარებული პირისპირი შეხვედრების შედეგად, მოამზადა ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პირველადი ანგარიშები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოთხივე სამინისტროსთვის. ანგარიშები წარედგინა თითოეულ სამინისტროს მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების, ასევე უკუკავშირის გაზიარების მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა საბოლოო ანგარიშები.

ამასთანავე, ბიურომ, 2020 წლის ბოლოდან, დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი. ამ მიზნით, ბიურომ გააანალიზა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თითოეული სამინისტროს მიერ წინასწარ შევსებული კითხვარები და მათი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო. ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გათვალისწინებით, ინტერვიუები სამინისტროების წარმომადგენლებთან დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციური ანალიზი. საჯარო სამსახურის ბიურო, ასევე, აგრძელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროცესს. მიმდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის პროცესი, რომლის კვალდაკვალ ბიურომ მოამზადა და საანგარიშო წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობას განსახილველად გაუგზავნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი. პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციას, განწერს მათი დაფუძნების საფუძვლებს და მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაქვემდებარებისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების საკითხს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციების სიჭარბის პირობებში, კანონპროექტი მომზადდა კომპლექსური და მრავალმხრივი პროცესის შედეგად, რომელიც დაეყრდნო საჯარო სამართლის იურიდიული პირების ზოგად ფუნქციურ ანალიზს. ხსენებული კანონპროექტით, ასევე, განისაზღვრა კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, როგორცაა შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება, სსიპ-ებისთვის კატეგორიების მიკუთვნება, სსიპ-ებში დასაქმებული პირების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და სხვ. ამიტომაც, კანონპროექტის გარდამავალი პერიოდი ითვალისწინებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებას 2021 წლის 31 დეკემბრიდან, რა დრომდეც დაგეგმილია საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეორადი ფუნქციური ანალიზის განხორციელება შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის შინაარსიც დაფუძნებული იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებებზე.

ამასთანავე, 2020 წლის ბოლოს საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა და გამოსცა პრაქტიკული სახელმძღვანელო – [„საჯარო დაწესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია და ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები“](#). სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს საჯარო დაწესებულებებს რეორგანიზაციის პროცესში განსახორციელებელი ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიან და გამართივებულ მართვაში.

სახელმძღვანელო შემუშავდა საქართველოსა და ლიეტუვას რესპუბლიკებს შორის მიმდინარე საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში და დაეყრდნო ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, ასევე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებულ საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიას და ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე ბიუროს მიერ ამ პროცესში დაგროვილ გამოცდილებას.

4. ბენეფიციარი სამსახური

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას გენდერზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მისი როლის მკაფიოდ განსაზღვრის მიმართულებით. ამ მიზნით, ევროკავშირის გენდერის პროექტის ფარგლებში, ბიუროს თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობითა და ექსპერტის ჩართულობით შემუშავდა გენდერზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობის პირველადი ვერსია და სამუშაო გზამკვლევი. გზამკვლევი აღწერს გენდერზე პასუხისმგებელი პირების მიერ გენდერული საკითხების დაწესებულებაში ინტეგრირებისათვის საჭირო უნარებსა და ცოდნას და გენდერული მეინსტრიმიზისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ბიუროს, როგორც საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის მაკორდინირებელი ორგანოს, თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი. აუდიტის მიზანი იყო ბიუროს საქმიანობასა და ფუნქციონირებაში გენდერის მეინსტრიმიზის საკითხების პრაქტიკული გააზრება და ეფექტიანი ორგანიზაციული სწავლების ხელშეწყობა. აღნიშნული პროცესი დაეხმარება ბიუროს გააძლიეროს საკუთარი შესაძლებლობები მომავალში, გენდერულ ჭრილში შეაფასოს თავისი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის და გაზარდოს ორგანიზაციული პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის ინიციატივების მიმართ. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიუროს ინსტიტუციურ გაძლიერებას და ეროვნულ დონეზე, ადამიანის უფლებათა სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ადამიანის უფლებათა სამდივნოს, გენდერის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლისა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მჭიდრო კოორდინაციით ხორციელდება.

გენდერის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და ზოგადად, აღნიშნული თემის მნიშვნელობის ნახალისების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გამართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე – „ქალები მმართველ პოზიციაზე საჯარო სამსახურში“. კონფერენციის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო და ინოვაციური პროექტები და ესეები საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობისა და საჯარო სამსახურში ქალთა როლის გაძლიერებისა და ნახალისების შესახებ. კონფერენციაზე განხილულ იქნა საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასთან, ქალთა უფლებების გაძლიერებასა და ამ მიმართულებით მოხელეთა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი გენდერისა და მართვის თემატიკაზე, რომელსაც საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგები უძღვებოდნენ და ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საქართველოში გენდერული კუთხით არსებული მდგომარეობა, გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირება, ასევე, მართვის საუკეთესო პრაქტიკა და ცვლილებებისა და ინოვაციური მიდგომების განხორციელების მეთოდები. ტრენინგი ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 20-მდე საჯარო მოხელემ და მაღალი მმართველობითი რგოლის მენეჯერმა, როგორც ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. ტრენინგი ჩატარდა პროექტის – „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელიც 2017 წლის ოქტომბრიდან ევროკავშირის მხარდაჭერით ხორ-

4. გენდერი საჯარო სამსახურში

ციელდება და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ეფექტიანად განახორციელონ გენდერული მენისტრიმინგი საჯარო მმართველობაში.

საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ქალების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო ახორციელებს საჯარო სამსახურში მენეჯერი ქალების კარიერული და პროფესიული განვითარების შესახებ კვლევას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 2500-ზე მეტმა საჯარო მოხელემ მიიღო და ასევე, უკვე განხორციელებულია სიღრმისეული ინტერვიუები 10 რესპონდენტთან. კვლევის შედეგები, საჯარო სამსახურის ბიუროს შიდა ინსტიტუციური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მომავალი წლის დასაწყისში გახდება ხელმისაწვდომი.

ამასთანავე, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით ტარდება საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების კვლევა, რომელსაც ახორციელებს კვლევითი ორგანიზაცია „CRRC-საქართველო“, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. მსგავსი კვლევა საქართველოში პირველად ტარდება და იგი ხორციელდება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო უწყებებში დასაქმებულ პირთა გამოკითხვის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, რომელიც გაიგზავნა ყველა საჯარო დაწესებულებაში, კითხვარით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, იგეგმება სექსუალური შევიწროების მექანიზმების შემდგომი დახვეწა.

2020 წელს, საჯარო სამსახურის ბიურო კვლავაც შეუერთდა საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ 16 დღიან კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა საჯარო მოხელეთა ფორუმები თემებზე – „სექსუალური შევიწროების დეფინიცია და რეაგირების გზები“ და „გენდერიზებული საჯარო სამსახური“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველად, ფორუმების ისტორიაში, მომხსენებლების რანგში, გარე, მონვეულ ექსპერტთან ერთად, წარმოდგენილები იყვნენ პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირებიც, რომლებმაც უშუალოდ გაუზიარეს მსმენელებს საკუთარი პროფესიული გამოცდილება.

საჯარო სამსახურის ბიურო, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, მუშაობს ბიუროში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მექანიზმის შემუშავებაზე. დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე შეჯერების შემდეგ, მოხდება მისი დამტკიცება და იმპლემენტაცია.

5. ეთიკა და მახილვების ინსტიტუტი საჯარო სამსახურში

ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. ამ მიზნით, მომზადდა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო პლატფორმის კონცეფცია. ელექტრონული კურსის მიზნად განისაზღვრა საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ცოდნის ამაღლება, მისი გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამავედროულად, საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისება. აღნიშნული საკითხის აქტუალურობას განაპირობებს არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო დონის სტრატეგიული დოკუმენტი, და მათ შორის, ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგია.

სწავლების ელექტრონული მოდულის მიზანია, საჯარო მოსამსახურეთა დისტანციურად გადამზადება საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ. აღნიშნული, ასევე, აქტუალურია ქვეყანაში მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარეც. კურსის ფარგლებში მოხელეები, სამუშაო ადგილის დატოვების გარეშე, მიიღებენ ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ცნებებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს შესაძლო გადაცდომების, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების, ასევე, ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევის თავიდან აცილებას.

ბემოთ აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე შერჩეულმა კომპანიამ განახორციელა ელექტრონული კურსის პროგრამული უზრუნველყოფა და შეიქმნა ვებპორტალი (www.ethics.gov.ge), სადაც ნარატიულ მასალასთან ერთად განთავსდა კომიქსები, ვიდეო და ილუსტრირებული მასალები სხვადასხვა საკითხის უკეთესად ფორმულირების მიზნით. შინაარსობრივად კურსი დაიყო ოთხ ძირითად მოდულად და თითოეული მოდულის გავლის შემდეგ, მოხელეებისათვის შეიქმნა ტესტური დავალებების ბაზა, მიღებული ცოდნის გაზომვისათვის.

ამ ეტაპზე, დასრულებულია ელექტრონულ სასწავლო კურსზე მუშაობა და მიმდინარეობს მისი სატესტო რეჟიმში ფუნქციონირების შემოწმება. 2021 წლიდან კურსი ხელმისაწვდომი გახდება საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისთვისაც.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.mkhileba.gov.ge) დაფიქსირდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მისამართით მხილების 81 შესაძლო ფაქტი.* გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ბიუროში არ შემოსულა წერილი ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას მათი წერილობითი და სატელეფონო თხოვნის საფუძველზე, ბიუროს კომპეტენციის ფარგლებში გაენია სამართლებრივი დახმარება და მიეცა რეკომენდაცია, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის, ასევე დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიმდინარე წარმოებებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ვინაიდან გაზრდილია ბიუროში მომართვიანობა მოხელის ყოველდღიური საქმიანობისას ეთიკური სტანდარტების სწორად იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, USAID HICD-ის პროექტის დახმარებითა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა ეთიკური სტანდარტების უზრუნველ-

* მონაცემი მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. ეთიკა და მამხილებლის ინსტიტუტი საჯარო სამსახურში

ყოფის მექანიზმის სამუშაო ვერსია და მუშავდება რისკების შეფასებისა და იდენტიფიცირების ინსტრუმენტი საჯარო სამსახურში არაეთიკური ქცევების პრევენციის მიზნებისთვის. 2021 წლისთვის იგეგმება ეთიკური რისკების შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა ბიუროს მიზნებისა და არსებული მანდატის შესაბამისად და მისი იმპლემენტაცია საჯარო დაწესებულებებში ეთიკის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება

საჯარო სამსახურის ბიურომ, შედეგებზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის განვითარების, ასევე, შიდა ინსტიტუციური დაგეგმვის კომპონენტის გაძლიერებისა და საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, ბიუროს უფროსის ბრძანებით, 2020 წელს დამტკიცდა 2020-2021 წლების შიდა ინსტიტუციური სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის მიზნით, განისაზღვრა შესაბამისი პასუხისმგებელი ერთეული. გეგმის შესრულება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში, ბიუროს მიერ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებას. ზემოაღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდება 2021 წლის გეგმის განახლება.

7. საჯარო სამსახურების დაძმობილების (TWINNING) პროექტი

საჯარო სამსახურის ბიუროსა და ლიეტუვას მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლობით, 2018 წლის ნოემბრიდან დაიწყო და 2020 წლის ნოემბერში დასრულდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში (ENPI) დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი – „საჯარო სამსახურის ბიუროს გაძლიერება საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით“. პროექტი მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარებას საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტიანი განხორციელების ხელშესაწყობად.

პროექტი საჯარო სამსახურის ბიუროს ეხმარება სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც გულისხმობს ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საჯარო სამსახურის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფას საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან, საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციებისა და ინსტიტუციური მოწყობის გადახედვას, ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და თანამედროვე მიდგომების დანერგვას.

საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების განვითარება ხუთი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა:

- ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან;
- საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციებისა და ინსტიტუციური მოწყობის გადახედვა;
- ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის, ადამიანური რესურსების სწავლების პლატფორმის შემუშავება და თანამედროვე მიდგომების დანერგვა;
- საჯარო სამსახურის ბიუროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის განახლება;
- საჯარო სამსახურის ბიუროს ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების განვითარება ინფორმაციის ჯეროვანი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

ხუთივე მიმართულებით მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები იქნა მიღწეული და ამავდროულად, განისაზღვრა სამომავლო ნაბიჯები, რასაც საფუძვლად დაედო ექსპერტების მიერ მომზადებული ანგარიშები და რეკომენდაციები. პროექტის შედეგად:

- გადაიხედა და შეფასდა საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობა საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან და მომზადდა რეკომენდაციები;
- მომზადდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური რეფორმის გეგმა;
- შემუშავდა საჯარო დაწესებულებების [ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია და ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები](#), რომელიც საჯარო დაწესებულებებს დაეხმარება რეორგანიზაციის პროცესში ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიან და გამართლებულ მართვაში;
- შემუშავდა ტრენინგ სქემები ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისა და ზედა რგოლის მენეჯერებისთვის. ასევე, მომზადდა ტრენინგის მოდულები შემდეგ საკითხებზე: საჯარო სამსახურში მიღება, ადაპტაცია (მენტორინგი) და გათავისუფლება; მოხელის შესრულებული სამუშაოს შეფასება; პროფესიული განვითარება და პროფესიული განვითარების საჭიროების შეფასება; პროფესიული ეთიკა, კორუფციის პრევენცია, გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჯარო სამსახურში; ცვლილებების მართვა, თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის თეორია

7. საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი

- და მენეჯმენტის შესაძლებლობები; ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; წახალისება და მოტივაცია; კონფლიქტის მართვა; წარმატებული ადამიანების მართვა;
- მომზადდა ტრენინგ პროგრამები საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნითაც და ბიუროს ყველა დეპარტამენტის თანამშრომელმა (80%-ზე მეტმა) გაიარა ერთი ან მეტი ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: კიბერუსაფრთხოება; სექსუალური შევიწროების პრევენცია სამუშაო ადგილზე; საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან ჰარმონიზაცია; სტრატეგიული დაგეგმვა და მენეჯმენტი; ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია; წარმატებული ადამიანების მართვა; პროექტის მენეჯმენტი;
 - განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციური ანალიზი და ლიეტუველი ექსპერტების მიერ მომზადდა ანგარიში, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული საჯარო სამსახურის ბიუროს სტრუქტურა და ფუნქციები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები;
 - განხორციელდა ორი სასწავლო ვიზიტი: რუმინეთში დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის საკითხებზე, ხოლო ლიეტუვაში ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა მართვის თანამედროვე მიდგომები, საჯარო მოხელეთა შესრულებული სამუშაოს შეფასება, პროფესიული განვითარება და შრომის ანაზღაურების სისტემა;
 - ჩატარდა ტრენინგები ტრენინგები საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლებისათვის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. ტრენინგების შედეგად საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემამ მნიშვნელოვანი რესურსი შეიძინა ახალი ტრენინგების სახით, რომლებსაც აქვთ საჭირო უნარები და ცოდნა იმისთვის, რომ სამომავლოდ ტრენინგები ჩაუტარონ სხვა საჯარო მოხელეებს და ამგვარად ხელი შეუწყონ საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმის ამაღლებას;

შემუშავდა [დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო](#), რომელშიც დეტალურადაა განერილი დისტანციური მუშაობის სხვადასხვა ასპექტები და ამასთანავე, წარმოდგენილია ლიეტუვას და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები;

მუშავდება რეკომენდაციები საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმების განვითარებისა და ინფორმაციის ჯეროვანი მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომელთა აღსრულებას და პრაქტიკაში დანერგვას ბიურო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

შემუშავდა რეკომენდაციები საჯარო სამსახურის ბიუროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესების კუთხით, მათ შორის, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის სისტემების დახვეწის მიზნით, რომელთა აღსრულებასაც ბიურო ეტაპობრივად ახორციელებს.

მიუხედავად COVID 19-ის პანდემიით შექმნილი ახალი რეალობისა, საჯარო სამსახურის ბიურომ და ლიეტუველმა პარტნიორებმა აქტიურად განაგრძეს თანამშრომლობა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დისტანციურ რეჟიმში განხორციელება, ხოლო, ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ კი დაიგეგმა მთელი რიგი აქტივობები. კერძოდ, საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები, საჯარო სამსახურის ბიუროსა და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის, რომელიც სასწავლო ვიზიტის ფორმატით იყო გათვალისწინებული და პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იგი დისტანციურ რეჟიმში წარიმართა. შეხვედრების ფარგლებში ლიეტუველმა ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზის, ეფექტიანი კომუნიკაციის და პროფესიული განვითარების საკითხებზე.

7. საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი

ასევე, ლიეტუველმა ექსპერტებმა, დისტანციურ რეჟიმში, თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს საჯარო სამსახურის ბიუროს და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმოდგენლებს დისტანციურ მუშაობასა და შესაბამისი პლატფორმების ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დისტანციური მუშაობის ძირითად პრინციპებზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, ასევე, სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ინფორმაციული უსაფრთხოების პროცედურებზე.

2020 წლის 19 ნოემბერს გაიმართა საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება დისტანციურ რეჟიმში. მმართველი კომიტეტის გაფართოებული სხდომის ფორმატში, პროექტის გუნდმა ევროკავშირის დელეგაციის, დიპლომატიური კორპუსის, ასევე, საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის, დონორი ორგანიზაციებისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლებს გააცნეს პროექტის შედეგები. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა სპეციალურად მომზადებული [ვიდეოს](#) ჩვენება, რომელიც მოკლედ აჯამებს პროექტით დასახული მიზნების შესაბამისად მიღწეულ შედეგებს და საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების პროცესში ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

8. ჩელოჩიოი იოვლეოენჯოხიოი მხარეაჭერიოი მიუნით ბანოოოოილეოული ჰოოეაჭეოი და კვლეოეოი

1. საჯოოო სამსახურიო რეფორმიო იმპლემენტაციოი პროცესში მმართველობიოი ახალი გბებიოი დანერგვიოი ხელშენყობო

საჯოოო სამსახურიო ბიურომ, გეეროო გენვიოთარებიოი პროგრამიოი (UNDP), დიდი ბრიოტანეთიოიო და ჩრდილოეთ ირლანდიოიო გეერთიანეუბელი სამეფოო მთავრობიოი UK aid-იოო და შვედეთიოი მთავრობიოი მხარდაჭერით 2019 წელს დეინყო და 2020 წლიოი ოქოტომბერში დაასრულოო პროექტი „საჯოოო სამსახურიო რეფორმიოი იმპლემენტაციოი პროცესში მმართველობიოი ახალი გბებიოი დანერგვიოი ხელშენყობო“. პროექტიოი ფარგლებში, არაერთი აქოტივობო გენხორციელდო, კერძოდ:

საჯოოო მოხელეთო ფორუმიოი შექმნო. საჯოოო სამსახურიო რეფორმიოი გენხორციელებიოი მხარდაჭერიოი მიზნით, შეიქმნო საჯოოო მოხელეთო დამატებითი საკომუნიკაციო პლათფორმო, რომელიც ემსახურეო მოხელეთო შორიო კომუნიკაციოი ხელშენყობოო საჯოოო სამსახურიო უწყვეტი გენვიოთარებიოი მიზნით. მოხელეთო ფორუმიოი შეხვედრეებო მნიშვნელოვანი როლი შეასრულო COVID-19-ით გამონწვეული პანდემიოიოი შედეგად შექმნილი ახალი რეოლობიოიო გოთვალისწინებით, როცო უწყვეტი კომუნიკაციოიოი საკითხი, დისტანციური სამუშოო რეჟიმიოი გოთვალისწინებით, გენსაკუთრებით აქოტუალური გახდო.

ფორუმებიოი ჩოტარდო ფოკუს-გუეფებიოი ფარგლებში მოხელეთო მიერ წინასწარ იდენტიფიცირებულ საკითხებზე. საჯოოო მოხელეთო უკუკავშირიოო და მალალი ინოტერესიო გოთვალისწინებით, დამატებით დეიგეგმო ფორუმიოი შეხვედრეები და სულ 21 ფორუმიოი ჩოტარდო შემდეგ თემატიკაზე: პროფესიო – საჯოოო მოხელე; კომუნიკაციო საჯოოო სამსახურში; ინოვაციებიო საჯოოო სამსახურში; პროფესიული და პირადი ცხოვრებიო ბოლანსი; თვიო-რეოლიზაციო; ორგენიზაციული კულოტურო; მოტივაციო საჯოოო სამსახურში; შესრულებული სამუშოო შეფოასებო საჯოოო სამსახურში; კლიმატიო კრიზიოი და მწვანე საჯოოო სამსახური; მოხელეოი უფლეებები; დროიო მართვო; გენდერი საჯოოო სამსახურში; ბედნიერებო სამუშოო ადგილზე; ცვლილეებებიო მართვო; პოზიოტიური უარიო ძოლო; ლიდერიო როლი კრიზიოიოი მართვოში; ემოციური ინოტელექტი; პროექტებიო მართვო; სოტრესი და სოტრესიო მართვო; ადამიანი-ბრენდი; თავისუფლეებიდან გექცივიოი შექანიზმები.

შეიქმნო ფორუმიოი კონცეფციო, ბრენდი და შესობამიოი პრომო მასოლები. ასევე შემუშოვდო ფორუმებიოი ფარგლებში გენხილული თემატიკიოი ამსახველი [საინფორმაციო ბიულეტენი](#). ჩოტარებულ ფორუმებში სულ მონანილეობო მიილო 1388 პროფესიულიო საჯოოო მოხელე.

პროფესიონალიზმიოი და ინოვაციებიოი ნახოლისებო საჯოოო სამსახურში. საჯოოო სამსახურში პროფესიონალიზმიოი ბრდისოთვიოი მნიშვნელოვანიო საჯოოო მოხელეთო პროფესიული უნარებიოი გენვიოთარებიოი სხვოდოასხვო სქემებიოო და მეოოდებიოი გომოყენებიოი ნახოლისებო, ასევე, სწრაფი და შეუქცივადი ტექნოლოგიური გენვიოთარებიოი პირობებში, მომავალი უნარებიოო და კომპეტენციებიოიოი საჭიროებებიოი დოდგენო.

ამ მიზნით, პროექტიოი ფარგლებში მონწველმო ადგილობრივო ექსპერტმო ჩოტარო კვლევო საჯოოო სამსახურში მენტორინგიო და ქოუჩინგიო საკითხებზე, ასევე, კვლევო მოტივაციოიოი სისტემებოთან დოკავშირებით. ექსპერტმო შეიმუშოვო მენტორინგიო პროგრამო ახალმოსული თანამშრომლებიოიოიოი ორ

საპილოტე სამინისტროში (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები) და მოამზადა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც თანამშრომელთა და ორგანიზაციული მზაობის შეფასებას ეფუძნება.

საჯარო სამსახურში მომავალი უნარებისა და სამუშაო ძალის დაგეგმვის შესახებ კვლევის განხორციელების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწვეულ იქნა ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, რომელთაც განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების ჩართულობით გამართეს სამუშაო შეხვედრა და მოამზადეს კვლევა აღნიშნული საკითხის შესახებ. საერთაშორისო ექსპერტმა, მომზადებულ კვლევებზე დაყრდნობით შეიმუშავა სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სამსახურში მომავლის უნარებისა და სამუშაო ძალის დაგეგმვის შესახებ.

COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული გლობალური პანდემიის გამო, დისტანციურ რეჟიმში მუშაობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა. საჯარო მოხელეების უმრავლესობას აღნიშნული მუშაობის სტილზე სწრაფი გადასვლა მოუხდა, რამაც გარკვეული სირთულეები წარმოშვა. ამ მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწვეულმა ექსპერტმა ჩაატარა საჯარო სექტორში დასაქმებულთა განწყობების ანალიზი დისტანციურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებით და მომზადდა შესაბამისი კვლევის ანგარიში.

გარდა ამისა, იგეგმება არსებული სასწავლო სისტემის გადახედვა და გაუმჯობესება ელექტრონული სწავლების მოდულების ინტეგრირებისა და მოხელეთა მაქსიმალური რაოდენობის გადამზადების მიზნით. გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად, ბიურო დამატებით მუშაობს ელექტრონული სასწავლო პლატფორმის, როგორც სინქრონული ასევე ასინქრონული ტრენინგების განხორციელების, ელექტრონული მოდულების ხარისხის უზრუნველყოფისა და სწავლების გეგმების მართვის მიმართულებით.

ეფექტიანი მართვა და ლიდერობა სამინისტროებში. კეთილსინდისიერი და ეთიკური გარემოს გაძლიერების, ეფექტიანი მართვისა და ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით, პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მართვისა და ლიდერობის შესახებ სამინისტროებსა და სხვა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის. ჯამში, აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ჩატარდა 28 სამდღიანი ტრენინგი (აქედან 22 ონლაინ რეჟიმში) და გადამზადდა 330 მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელე. ტრენინგის პრე და პოსტ შეფასებაზე დაყრდნობით, მონაწილეთა 70%-მა გაიმჯობესა ცოდნა მართვისა და ლიდერობის საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეთა 99%-მა პოზიტიურად შეაფასა ჩატარებული ტრენინგები, ხოლო მონაწილეთა 87%-მა განაცხადა, რომ მიღებულ ცოდნას გამოიყენებდა ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამასთანავე, მართვისა და ლიდერობის საკითხებზე საჯარო სამსახურში პირველად მომზადდა და დაიბეჭდა **სახელმძღვანელო**, რომელზეც აღნიშნულ თემატიკაზე ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა, მოქმედმა მენეჯერებმა იმუშავეს. ასევე შემუშავდა მართვისა და ლიდერობის შესახებ გზამკვლევი – **„მე ლიდერი“** რომელიც დატვირთულია ინფორმაციული გრაფიკებითა და მარტივად აღქმადი, ვიზუალური ილუსტრაციებით.

საჯარო სამსახურში მენეჯერის როლური მოდელის შესახებ, ასევე, შემუშავდა ვიდეო რგოლი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საჯარო სამსახურში მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული პირებისათვის კარგი მენეჯერის თვისებებისა და უნარების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება. პროექტის ფარგლებში შემუშავდა **ვიდეო** საჯარო მოხელეთა ისტორიების შესახებ, რომელიც გაზიარებულ იქნა 19 დეკემბერს, საჯარო მოხელის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ფარგლებში.

2. მოხელეთა შეფასების სისტემის გაუმჯობესება იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში

საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და მუნიციპალურ დონეზე შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განახორციელა დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გაძლიერება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შერჩეული შეფასების მოდელების დახვეწა, შეფასების პროცესში მენეჯერების შესაძლებლობებისა და უნარების გაზრდა და მუნიციპალურ დონეზე სამუშაოს მართვისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გაუმჯობესება; ამასთანავე, პროექტის მიზანია შექმნას კომუნიკაციისა და თანამშრომლობისათვის ეფექტური პლატფორმა ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (8 მენტორი), იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების (24 დანესებულება) ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ მოხელეთა შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების პროცესის დახვეწისა და განვითარების კუთხით. პროექტის შედეგად, სამიზნე მუნიციპალიტეტის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში შესწავლილ იქნა და განახლდა შესრულებული სამუშაოს შეფასების მეთოდოლოგიები, მომზადდა პროფესიული განვითარების გეგმის ნიმუშები. პროექტის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული განვითარების მოდულის შესაბამისად გადამზადდა იმერეთის რეგიონის 24 საჯარო დაწესებულების პირველი და მეორე რანგის 140-მდე საჯარო მოხელე. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის შეფასების პროცესის ეფექტიანად განხორციელებისა და შეფასების კომპონენტების განსაზღვრის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა ორი სახელმძღვანელო: „სამუშაოს შესრულების შეფასების გზამკვლევი“ და „მენეჯერის დღიური“.

3. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“

საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმების განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერას ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერების გზით უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“. მისი მიზანია საქართველოს საჯარო მმართველობის ეფექტურობის, ხელმისაწვდომობის, ანგარიშ-ვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება საჯარო მმართველობის ევროპული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით შემუშავდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ:

ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მონყობისა და ადაპტაციის პროცედურა, რომელიც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანების ადაპტაციას სამუშაო თანამდებობით გათვალისწინებულ საქმიანობასთან, მათ ეფექტურ ინტეგრაციას სამუშაოს, სოციალურ გარემოსა და დანესებულების კულტურასა და ღირებულებებთან. აღნიშნულის საფუძველზე, ასევე, მომზადდა და ბიუროს ვებგვერდზე განთავსდა ანიმაციური [რგოლი](#), თანამშრომლის სამუშაოზე მონყობის შესახებ. ახალი თანამშრომლის მიღება და ადაპტაცია საჯარო სამსახურში მნიშვნელოვანია თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესში საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავების მიზნით. ადაპტაციის პროგრამის საშუალებით ახალ თანამშრომელს უვითარდება ემოციური მიჯაჭვულობა მისი საქმისა და ორგანიზაციის მიმართ.

8. რეფორმის იმპლემენტაციის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული პროექტები და კვლევები

ასევე, შემუშავდა საჯარო სამსახურში შერჩევისა და მიღების შესახებ სახელმძღვანელო, რომლის მიზანია გააუმჯობესოს საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლის მოზიდვის, შერჩევისა და შეფასების პროცესი.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროს დაკვეთით, შემუშავდა ორი კვლევა რომელთა მიზნებები, ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მიზნებისთვისაც იქნება გამოყენებული. კერძოდ, „[საჩუქრის პოლიტიკა საჯარო სამსახურში](#)“, რომლის მიზანი იყო საჯარო სამსახურში საჩუქრის პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ასევე, მომზადდა სახელმძღვანელო „[მხილება საჯარო სამსახურში: საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა](#)“. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოხდა მხილების ინსტიტუტის თაობაზე არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი.

დამატებით, პროექტის ფარგლებში 2020 წლის განმავლობაში, შემუშავდა სახელმძღვანელო „[თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის შესახებ](#)“. სახელმძღვანელოს მიზანია, თანამდებობის პირისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისათვის დადგენილი მოთხოვნებისა და მონიტორინგის წესის თაობაზე. ტექნიკური დახმარების პროექტან თანამშრომლობა 2021 წელსაც გაგრძელდება როგორც ადამიანური რესურსების მართვის განვითარების, ასევე ანტიკორუფციული მიმართულებით.

9. საჯარო სამსახურის ჩეჯორჩის მიმინარეოჯის ხეღუფეყოჯა

მოხელის დღე. 19 დეკემბერს საჯარო მოხელის დღე აღინიშნება. ტრადიციას საფუძველი 2017 წელს ჩაეყარა და მის მიზანს საჯარო სამსახურის ძირითადი მამოძრავებელი ძალის, პროფესიული საჯარო მოხელის მნიშვნელობის წარმოჩენა წარმოადგენს. მიმდინარე წლის დასასრულს საჯარო სამსახურის ბიურომ მოხელეებს, UNDP-ს მხარდაჭერით მომზადებული ვიდეო რგოლით მიულოცა. ვიდეოს მიზანია პროფესიული საჯარო მოხელის მნიშვნელობის ხაზგასმა, მოხელის მიერ პრინციპებისა და ღირებულებების ურყევი ერთგულების აუცილებლობის აღნიშვნა და ასევე, ეთიკური ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში მენეჯერისა და ლიდერის როლის გამოკვეთა.

მოხელის დროებითი ტრანსფერი. საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მხარდაჭერით, შემუშავდა საჯარო სამსახურში მოხელის დროებითი ტრანსფერის („სეკონდმენტის“) შესახებ კვლევა. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სეკონდმენტის არსი, გამოწვევები და ის პოზიტიური მხარეები, რომლითაც შეუძლია საჯარო სამსახურს გააუმჯობესოს სამუშაოს ხარისხი და გაზარდოს ეფექტიანობა. კვლევის საფუძველზე, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა „საჯარო სამსახურში მოხელეთა დროებითი ტრანსფერის შესახებ კონცეფცია“. კონცეფციის მიზანია მოხელის დროებითი ტრანსფერის პრაქტიკის დანერგვით უზრუნველყოს მოხელეთა შესაძლებლობის გაზრდა, საჯარო დაწესებულებებს შორის გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და საჯარო სამსახურის ეფექტურობა.

პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის არსებული მეთოდების ანალიზი. საჯარო სამსახურის ბიურო, USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით, საჯარო მმართველობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ახორციელებს კვლევას „პოლიტიკური გენოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“. კვლევის მიზანია, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტის ჩართულობით, საჯარო სამსახურში მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად არსებული და თანამედროვე ინსტრუმენტების შესწავლა, რომელიც მსოფლიოში წარმატებით გამოიყენება და შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს ქართულ რეალობაში. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი გახდება 2021 წლისთვის.

კრიზისული სიტუაციების მართვა საჯარო სამსახურში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საჯარო სამსახურში კრიზისების მენეჯმენტის პრაქტიკის კვლევას, რომლის მიზანია დაეხმაროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებს ორგანიზაციული კრიზისების დაძლევის პროცესში. ამ მიზნით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, USAID-ის პროექტის, „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) მხარდაჭერით, განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგად შესწავლილ იქნა საჯარო დაწესებულებებში კრიზისების მართვის არსებული პრაქტიკა, გამოიკვეთა არსებული გამოწვევები და მომზადდა ინსტრუქციის პირველადი ვერსია – „კატასტროფის, საფრთხეებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართ საქართველოს საჯარო სამსახურის მდგრადობის შესახებ“.

პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრაქტიკა საჯარო სამსახურში. კვლევა განხორციელდა საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, ადგილობრივი

ექსპერტის ჩართულობით, USAID-ის პროექტის, „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) მხარდაჭერით. განხორციელებული კვლევის მიზანი იყო სამინისტროებში პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავების არსებული პრაქტიკის შესწავლა. ასევე, კანონმდებლობით პროფესიული განვითარების საჭიროების იდენტიფიცირების განსაზღვრული პროცესების შეფასება, სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების, გამოწვევებისა და შედეგების გამოკვეთა.

რთული საუბრები და კონფლიქტების მართვა საჯარო სამსახურში. ცალკეული შრომითი დავების მართვა ზოგჯერ განსაკუთრებით რთულია. ამის მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს კომპლექსური ურთიერთობები ან მრავალფეროვანი კულტურული ფაქტორები, ასევე სხვა მახასიათებლები, რომელიც გავლენას ახდენს უთანხმოებებზე სხვადასხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში. ბოლო პერიოდში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი სფეროს განვითარება მოიცავდა ისეთ საერთო ნიშან-თვისებებს როგორცაა: ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისად ინდივიდუალური შრომითი უფლებების დაცვის მზარდი მოთხოვნა; დასაქმების შეწყვეტისა და უმუშევრობის უფრო მაღალი რისკები გლობალურ და მუდმივად ცვალებად მსოფლიო ეკონომიკაში და სხვ. აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, უცხოელი ექსპერტის ჩართულობით მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებების შესახებ კვლევა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ განხილულ ქვეყნებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დავების მართვის მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, დასაქმებულთა მაქსიმალურად ფართო ჯგუფისთვის. ეს კი ხელს უწყობს ჩართულ მხარეებში თავდაჯერებულობის ამაღლებას, ასევე პროცესისადმი მათი ინტერესის გაზრდას. შესაბამისად, ბიურო, გაეროს მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, აგრძელებს ამ მიმართულებით კვლევას და მოხელეთა დამოკიდებულებების შესწავლის შემდეგ, გეგმავს სათანადო ინსტრუმენტის შესაბამისი ფორმით შეთავაზებას, მსგავსი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში.

ელექტრონული კურსი საჯარო სამსახურის კანონის შესახებ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიურომ, USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით მომზადდა კურსის შინაარსობრივი ნაწილი საჯარო სამსახურის კანონის შესახებ. კურსის მიზანია, ხელი შეუწყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მარტივ გაგებასა და ცნობიერების ამაღლებას, საჯარო სამსახურში არსებული ახალი მიდგომების ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. შინაარსობრივი ნაწილის საფუძველზე 2021 წელს განხორციელდება კურსის ელექტრონული პლატფორმის შემუშავება.

გზამკვლევი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის. დემოკრატიული მმართველობის ფარგლებში, ხალხის მიერ პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით არჩეული ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს. მმართველობა ხორციელდება არჩეული ხელისუფლების მიერ შერჩეული და ჩამოყალიბებული პოლიტიკის შინაარსის მიხედვით. აღნიშნული საკითხების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის მნიშვნელოვანი ცნებების განმარტების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით, მოამზადა სახელმძღვანელო, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირის თანამდებობაზე განწესების პარალელურად, დაეხმარება მის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში და წარმოაჩინოს მათ როლს სახელმწიფო მმართველობაში.

10. საერთაშორისო თანამშრომლობა

მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი პანდემიური მდგომარეობისა, საჯარო სამსახურის ბიურო განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან, აქტიურად მონაწილეობს ღონისძიებებსა და კონფერენციებში და ამით ცდილობს, როგორც ქართული გამოცდილების გაზიარებას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე სხვა ქვეყნების მიღწევების და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და ანალიზს.

მიმდინარე წლის 19 მაისს OECD SIGMA-ს ორგანიზებითა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებების მონაწილეობით გაიმართა ვებინარი თემაზე „COVID-19-ის გავლენა ადამიანური რესურსების მართვის პროცესებზე“, რომლის მიმდინარეობისას ბიუროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს საჯარო მოსამსახურეთა დისტანციურ რეჟიმში მუშაობის გამოცდილებაზე, წარმატებული ადაპტაციის პროცესსა და არსებულ გამოწვევებზე.

იმავე საკითხებზე გაიმართა მსჯელობა საერთაშორისო კონფერენციის „სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია საჯარო მოსამსახურეთა დისტანციურად ფუნქციონირების შესახებ“ ფარგლებში, რომელიც ასტანის საჯარო სამსახურის ჰაბის ორგანიზებით ჩატარდა მიმდინარე წლის 6 მაისს.

2020 წლის 4 ნოემბერს, OECD SIGMA-ს ორგანიზებითა და საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით, გაიმართა ვებინარი გენდერულად მგრძობიარე დასაქმების შესახებ – „თანასწორობა ქალებისათვის საჯარო სამსახურში“. ვებინარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმებულმა, გენდერისა და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირებმა. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ევროკავშირის ქვეყნებისა და SIGMA-ს საჯარო მმართველობაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსების მოხსენებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები 2020 წლის განმავლობაში, ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ანტიკორუფციული მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, დისტანციურ რეჟიმში აქტიურად მონაწილეობენ OECD SIGMA-ს, CoE-ს, IACC-ს Network of Integrity-ს, ასტანას რეგიონალური საჯარო სამსახურის ჰაბის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და სხვების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

აღსანიშნავია ასევე, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიურო განვერიანდა ევროპის საბჭოს კორუფციის პრევენციის ქსელში (NCPA). აღნიშნული ქსელის წევრები არიან არა მხოლოდ ევროპის საბჭოს ქვეყნები, არამედ ასევე სხვა, არა ევროპის საბჭოს წევრი-ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ კორუფციის პრევენციის თემაზე.

ქსელი იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს აზრთა და გამოცდილების გაცვლა, რეკომენდაციების მომზადება და სხვადასხვა შესაბამის პროექტებში მონაწილეობა. აღნიშნული ქსელი აქტიურად თანამშრომლობს GRECO-სა და სხვა ანტიკორუფციული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან.

11. საჯარო სამსახურის სწავლების და სწავლების პროცესები

2020 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

1. „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
2. „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №205 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
3. „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილი №201 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
4. „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
5. „შესამონმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
6. „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №178 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ასევე, შესრულებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება. კერძოდ, ბიუროს მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორებისა და ექსპერტების დახმარებით მომზადდა და მთავრობას წარედგინა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რაც ემსახურება საჯარო მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებებისათვის ინსტიტუციური მოწყობის ერთიანი პრინციპების გავრცელების უზრუნველყოფას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიღება, ასევე, ამავე კანონპროექტით განსაზღვრული, მის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები, როგორცაა შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება, სსიპ-ებისთვის კატეგორიების მიკუთვნება, სსიპ-ებში დასაქმებული პირების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მოითხოვს გარკვეულ დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა და მთავრობას წარედგინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არსებული გარდამავალი პერიოდის ერთი წლით გახანგრძლივებას და ემსახურ-

11. საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლო პროცესები

რება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებისათვის სათანადო პირობების შექმნას და პრაქტიკაში მის უხარვეზო განხორციელებას.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის საფუძველზე, დაჯარიმებული თანამდებობის პირებიდან, 2020 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა ბიუროს უფროსის 6 განკარგულება. აღნიშნული 6 სარჩელიდან 1 სარჩელი არ დაკმაყოფილდა, 5 განხილვის ეტაპზეა.

დაჯარიმების შესახებ თანამდებობის პირების მიერ წინა წლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან, 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა 7 სარჩელი.

სასამართლოს მიერ წინა წლებში დაკმაყოფილებული გადაწყვეტილებებიდან ბიუროს მიერ, 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა 7 გადაწყვეტილება.

აღნიშნულ პერიოდში, ბიუროს წინააღმდეგ შეტანილ იქნა სარჩელი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში, სამივე ინსტანციის სასამართლოში, ბიუროს სასარგებლოდ, დასრულებულ იქნა 1 სასამართლო დავა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სულ – 20 საქმე, სააპელაციო სასამართლოში – 8 და საქართველოს უზენაეს სასამართლოში – 4 საქმე.

LEPL CIVIL SERVICE BUREAU ACTIVITY REPORT 2020



CONTENTS

Foreword	35
1. Human Resource Management	36
2. Process of Filling-In and Monitoring of Public Officials' Asset Declarations	42
3. Functional Analysis of Public Institutions	43
4. Gender in Public Service	45
5. Ethics and Whistleblowing in Public Service	47
6. Institutional Strengthening of Civil Service Bureau	48
7. Public Service Twinning Project	49
8. Projects and Researches Conducted in Support of the Reform Implementation	51
9. Promoting Civil Service Reform	54
10. International Cooperation	56
11. Legislative Changes and Litigations	57
Statistics in Civil Service 2020	59

FOREWORD

2020 was a particularly difficult year due to the conditions worldwide because of the spread of new coronavirus pandemic. Public institutions in Georgia had to deal with the existing challenges by working remotely.

While maintaining the usual quality of work and established standards, the Civil Service Bureau (the Bureau) managed to adapt to the current situation and ensured the continuity of ongoing processes.

Despite the challenges and difficulties linked with remote work and its management, the Bureau, as the authority responsible for coordinating human resources management in the public service, was studying, and monitoring human resources management practices throughout 2020 to develop future recommendations, further improve and advance the applicable policy and ensure the implementation of innovative approaches to management.

The experience of working under pandemic conditions has once again shown us the importance of availability of professional human capital in place and their role in effectively dealing with the problems. Accordingly, among the 2021 priorities, the Bureau will remain committed to ensure raising of the level of proficiency in the public service, to plan the steps to be taken to retain and motivate highly qualified human resources. In addition, the stated objective of the Government of Georgia to apply for the EU membership in 2024 serves the basis for the Bureau to set a number of objectives within the action plans for the coming years, both for the introduction of Western governance systems in public institutions, as well as for the improved integrity and accountability of every public servant.

Therefore, the existing training system and training opportunities will be revisited and updated to integrate distance learning modules (learning by doing, mentoring, coaching) into trainings tailored to individual needs of the public servants and to train the highest possible number of staff.

Work will continue to establish modern and Western-style public service and professional management level to ensure proper and efficient human capital planning, talent identification and career management, performance appraisal and professional development systems, as well as turning human resources management into a strong and independent unit.

It is essential that the activities of strong human resource management units are supported by appropriate electronic platforms. In the process of managing the pandemic and its consequences, the need for unified data on human resources employed in the public service was once again highlighted. Therefore, the completion of the ongoing integration of electronic human resource management systems and the encouragement of the use of e-governance models will be among the top priorities for the Bureau in 2021.

At the current stage of the civil service reform, studies, or observations on existing practices carried out by the Bureau have revealed that new, transformative, and innovative reform periods are approaching, which under the current legislation will ensure the cultural transformation and change of the mindset of the civil servants and will be regarded as a turning point in establishing a healthy organizational culture in each public service institution.

Since 2012, the Bureau was working on improving the ethical environment and establishing a corruption-free public service system, constantly raising the awareness of officials about ethical and professional behaviour standards, ensuring the publicity of officials' asset declarations, as well as monitoring the data collected. This aimed at increasing the degree of accountability of public servants and other employees in the public service and, contrarywise, increasing public trust towards the public service. Accordingly, in 2021, the planned anti-corruption activities will continue, the existing systems will be advanced and mechanisms for assessing and eliminating ethical risks in public institutions will be established.

The present detailed report provides information on the activities that had been planned and implemented by the Bureau in for 2020, as well as future changes.

Catherine Kardava
Head of the Civil Service Bureau

1. HUMAN RESOURCE MANAGEMENT

In accordance with the requirements of the Law of Georgia on “Civil Service” and with a view of ensuring a unified state policy on human resource management in public institutions, the Civil Service Bureau within its competence continues to examine the situation in the public service and monitor the implementation of the unified state policy.

Recruitment in the civil service. During the reporting period, 3497 vacancies were announced on the website administered by the Bureau (www.hr.gov.ge), of which 2335 were open competition, 247 – closed competitions, 496 – simplified competitions, 194 – internships and 15 – other. A total of 75 vacancies were announced for managerial positions in the ministries.

In accordance with the amendment to the Law of the Government of Georgia N204 dated April 21, 2017 “On the Rules on Conducting Competition in Public Service”, another type of competition was introduced – internal competition. As of today, a total of 210 vacancies are announced through internal competitions.

Compared to 2019 data, the number of competitions as of December 17, 2020 is decreased by 37.97% (by 2141 units). The decrease eventually relates to the restrictions put in place to prevent the spread of pandemics in Georgia.

In order to protect the rights of the candidate participating in the competition and to verify the candidate’s eligibility, as well as the compliance of their applications with formal requirements at the first stage of the competition, 30 candidates applied to the Civil Service Bureau with regards 41 vacant positions. Upon verification of the terms of the competition and the compliance of the application, the Bureau recommended that 9 candidates be admitted for the next round for 12 vacancies. For managerial positions within the ministries, where the competition was successfully completed, the managers were selected in accordance with the regulations governing the competition, as spelled out in the Law on Civil Service.

It has to be noted that, compared to the previous year, the number of applications to the Bureau of candidates for protection of their rights has decreased by 37% (by 18 units), while the number of vacancies to be verified has decreased by 61% (by 65 units).

Verification of additional qualification requirements. In accordance with Article 28 of the Law of Georgia on Civil Service and considering the specificities of each position, as well as the job description defined for the position concerned, during the reporting period the Bureau reviewed and agreed upon additional qualification requirements for 1619 positions in 395 public institutions. Moreover, the Bureau within the scope of its competence has shared its opinion, suggestions, and remarks to 158 out of 395 public institutions.

The rate of additional qualification requirements for 2020 is reduced by 26% (by 137 units) compared to the previous year, and by 23% (by 478 units) for positions.

Competition protocol analysis. In accordance with Article 21 of the Law of Georgia on Civil Service, with a view of monitoring the implementation of a unified state policy in the field of civil service and establishing uniform practices, the Civil Service Bureau examined the process of selection of officials in public institutions. With this aim, the Bureau applied to both central and local

1. Human Resource Management

self-government public institutions, judicial bodies, as well as legal entities of public law (LEPLs) and subordinated authorities to provide the selection commission related documents within the framework of open, closed, and internal competitions.

Each public institution was randomly selected according to the announcements published for the vacant positions of officials on the website administered by the Bureau – www.hr.gov.ge. Based on the requested information, the competition documents for 34 different vacancy announcements were analysed. The review and analysis of the received documents showed that the trends identified during the previous reporting period are still relevant to certain extent and need to be refined in order to ensure the uniform application of the legislation on Civil Service:

- For the most part, only interviews and mostly non-structured interviews are used to evaluate the candidates, which does not allow the commission to assess candidate’s motivation and personal qualities in a comprehensive and uniform manner.
- Progress has been made in the frequent use of the oral assignments for the evaluation of a candidate. However, the evaluation of a candidate through oral assignment mainly implies asking closed questions from the laws and by-laws governing the activities under the vacancy concerned. Assessment of actual knowledge through an oral assignment is best done by giving situational assignments where the candidate has the opportunity to display logical reasoning abilities, individual solution approaches, and state own position along with showing theoretical knowledge about a particular issue.
- The practice of using a written assignment remains rare.
- The same selection commission is set up for selections of different types / specifics and for vacant positions in different structural units. Instead of forming a relevant selection commission for a specific vacancy, a single selection commission consisting of a number of members is established in public institutions. However, the large number of commission members does not imply the involvement of all commission members in the selection process. There were cases when, despite the diversity of the commission composition, only a few members attended the sittings of the selection commission. This practice challenges the spirit of civil service legislation and may, in the long run, lead to distrust of competitions in public institutions.
- The protocols of the selection commission do not provide detailed information on the progress of different stages of competition. The protocol only mentions the titles of the stages of competition, which contradicts the current legislation.
- The protocols of the selection commission do not provide complete information on the program and conditions of the competition, forms and methods of candidates’ evaluation, reasoning of the commission members and the decision-making, which may become a precondition for possible court hearings.

